გ

# ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**
თავმჯდომარე: დიანა გახარია
**წევრები:**
თამთა კვინიკაძე; შალვა ზაზაძე;

ქეთევან ღვანიძე; ნატალია კუჭუხიძე;

ნანა შათირიშვილი; მაია გრიგალაშვილი;

დემიდ ფასიეშვილი; მაია ხურცილავა;

ნინო მოწყობილი; ნინო ძნელაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: **ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **237079497**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

**დაწესებულების ავტორიზაცია**

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მიერ, ავტორიზაციის განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2025 წლის 15 მაისის MES 9 25 0000527382 (ცვლილება - 2025 წლის 6 ივნისის 635481 და 16 ივნისის 674656 ბრძანებები) ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულებასთან. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16-20 ივნისს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სივრცეების დათვალიერება, როგორც ოზურგეთის, ასევე ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მისამართებზე. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს, საქმისწარმოების მენეჯერს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, იურისტს, სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერებს ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მისამართებზე და კოლეჯში დასაქმებულ სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნაწილთან გასაუბრებას, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილებზე ექსპერტთა ვიზიტს.

სამივე მისამართზე ვიზიტი წარიმართა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის წარმართვას, უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების დროული წარმოდგენა და მოახდინა დასაზუსტებელი საკითხების განმარტება. წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებების უმეტესი ნაწილი გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის განმავლობაში, ხოლო შეჯამებული სახით - დასასრულს. ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი ტიპის რეკომენდაციები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით**

| პროგრამის სახელწოდება | პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | იმიტირებულ გარემოში | | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 2. სასტუმრო მომსახურება | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 3. სარესტორნო მომსახურება | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | იმიტირებულ გარემოში | | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 4. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 5. სკოლამდელი აღზრდა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 6. თმის მომსახურება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 7. ვიზაჟის მომსახურება | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 8. ბუღალტრული აღრიცხვა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | იმიტირებულ გარემოში | | ქ.ოზურგეთი, რუსთაველის N 8 |
| 9. სასტუმრო მომსახურება | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია |
| 11. სკოლამდელი აღზრდა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია |
| 12. კომპიუტერული ქსელი და სისტემები | პროგრამა **ინტეგრირებული** ზოგადი მოდულებით | იმიტირებულ გარემოში | | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული |
| 13. სატყეო საქმე | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული |
| 14. სკოლამდელი აღზრდა | პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით | რეალურ სამუშაო გარემოში | კოოპერაციული | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 30 | 7 | 0 | 4 |
| 2. სასტუმრო მომსახურება | 30 | 20 | 0 | 2 |
| 3. სარესტორნო მომსახურება | 30 | 21 | 0 | 1 |
| 4. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5. სკოლამდელი აღზრდა | 30 | 30 | 0 | 0 |
| 6. თმის მომსახურება | 42 | 20 | 0 | 1 |
| 7. ვიზაჟის მომსახურება | 15 | 15 | 0 | 0 |
| 8. ბუღალტრული აღრიცხვა | 30 | 24 | 1 | 3 |
| 9. სასტუმრო მომსახურება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | 30 | 25 | 0 | 0 |
| 10. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11. სკოლამდელი აღზრდა (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | 30 | 29 | | 2 |
| 12. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | 30 | 18 | 0 | 0 |
| 13. სატყეო საქმე (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | 30 | 15 | 0 | 0 |
| 14. სკოლამდელი აღზრდა (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | 30 | 17 | 0 | 0 |

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები**

**I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 1.1) პსდ-ს მისია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| **4) ადამიანური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5.3) ფინანსური რესურსები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 1. კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2. სასტუმრო მომსახურება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3. სარესტორნო მომსახურება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 5. სკოლამდელი აღზრდა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 6. თმის მომსახურება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 7. ვიზაჟის მომსახურება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| 8. ბუღალტრული აღრიცხვა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 9. სასტუმრო მომსახურება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 10. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 11. სკოლამდელი აღზრდა (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ,N76 მიმდებარე ტერიტორია) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 12. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 13. სატყეო საქმე (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 14. სკოლამდელი აღზრდა (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული) | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

წარმოების ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლენილა.

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

წარმოების ფარგლებში შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**1-ლი სტანდარტი**

1.2.1.1 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგეგმება „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესის“ გადამუშავება. ექსპერტების მიერ, განმავითარებელი რეკომენდაციის სახით, დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია, რომ სასურველია დოკუმენტის დახვეწისას გათვალისწინებული იქნას ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი საკითხები. კერძოდ, სასურველია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავდეს გეგმების გაზიარების პროცედურას, სულ მცირე გაზიარების ფორმას/ფორმატს; გაზიარების და გაზიარების ამსახველი მტკიცებულებების მოგროვების მექანიზმებს; ცვლილებების განხორციელების პროცედურას, ცვლილებების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის მექანიზმს; მონიტორგინის განხორციელების ინტენსივობასა და პროცედურებს, სულ მცირე ფორმას/ფორმატს (ანგარიშების წარდგენა, ღია შეხვედრა, ინტერვიუ, სისტემა/პლატფორმა); ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების თაობაზე ინფორმაციას (შესაძლებელია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელეს სხვადასხვა სახით).

**მე-3 სტანდარტი**

3.2.2.1 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები“ გაიწეროს პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტირების გაწევის, მხარდაჭერის ღონისძიებების, კვლევების ჩატარების პერიოდულობა და განისაზღვროს აღრიცხვიანობის სანდო ფორმა.

3.2.2.2 პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შესაბამისი ვაკანსიების შესახებ უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შეხვედრების და სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში. ექსპერტების განმავითარებელი რეკომენდაციაა, მეტი მოქნილობისთვის, ინფორმაციის სწრაფი და დაუბრკოლებელი გავრცელებისთვის, მოხდეს ვაკანსიების სოციალურ, დახურულ ჯგუფებში განთავსება.

**მე-4 სტანდარტი**

4.1.1.1 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები მასში დაშვებული ტექნიკური უზუსტობების აღმოსაფხვრელად და ზოგიერთი ფუნქციის დასაზუსტებლად.

4.1.2.1 ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს შრომითი ხელშეკრულება და გასწორდეს მასში არსებული ტექნიკური უზუსტობები.

4.1.2.3 პირადი საქმეების შესწავლისას დგინდება, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მაგალითად თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ინახება განცალკევებით, ზოგიერთი რეზიუმე გვხვდება ხელნაწერი ფორმით. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პირადი საქმეები მოწესრიგდეს შიდა რეგულაციით განსაზღვრული შემადგენლობის მიხედვით. ასევე უმჯობესია გადაიხედოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მიმართ წაყენებული აკადემიურ განათლების მინიმალური მოთხოვნა და საოფისე პროგრამების ფლობის მოთხოვნა განისაზღვროს შესასრულებელი საქმიანობისთვის აუცილებელი განათლების დონის და საჭირო უნარების შესაბამისად, დაკონკრეტდეს სამუშაო გამოცდილების სფერო/მიმართულება.

4.2.1.2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კვლევაზე დაყრდნობით, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შემუშავებული იქნეს პერსონალის (არა მხოლოდ განმახორციელებელთა) განვითარებაზე ორიენტირებული გეგმა.

4.2.1.5 საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერების არარსებობიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, შესაბამის რეგულაციაში აღწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაყენების ფორმები და წახალისების მექანიზმები, განისაზღვროს ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირები.

**მე-5 სტანდარტი**

5.1.1.10 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს ბიბლიოთეკის სივრცის ნაწილში საარქივე მასალების განთავსების გამორიცხვა და პირადი საქმეების დაცულ მდგომარეობაში, წვდომის უფლებამოსილების არ მქონე პირებისთვის მიუწვდომელ ადგილზე შენახვა.

**მე-2 სტანდარტის განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით**

ბუღალტრული აღრიცხვა

2.2.1.2 სასურველია კოლეჯმა პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების დანართში ასახოს ყველა ის მოდული, რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს/განახორციელებს პროფესიული მაწავლებელი.

სკოლამდელი აღზრდა

4.1.5 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში გასწორდეს ჩანაწერი სასწავლო ექსკურსიასთან დაკავშირებით და მკაფიოდ მიეთითოს პროფესიული სტუდენტების ობიექტზე გაგზავნის მიზნობრიობა.

სარესტორნო მომსახურება

2.2.1.5 საგანმანათლებლო რესურსი პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" ფარგლებში ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სასურველია გამარტივდეს პროცესი და შეიქმნას ეგრედწოდებული QR კოდები, რომელიც გამოიკვრება კედელზე იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიული სტუდენტები ამა თუ იმ პროფესიულ მოდულს გადიან და მითითებული ექნება სახელმძღვანელოს სახელწოდება და შესაძლებელი იქნება კოდის დასკანერებით სახელმძღვანელოს გახსნა, როგორც მაგალითად უკვე აპრობირებულია მენიუების დასკანერება ბევრ რესტორანში.

2.4.1.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება" ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში (რის საშუალებასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა), შესაბამისად სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რომელის ინფრასტრუქტურაც კოლეჯს გააჩნია. სწავლის შედეგები მიღწევადია ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 ივლისის N857337 კორესპოდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაწესებულება დაეთანხმა დასკვნის პროექტში მოყვანილ გარემოებებს. შესაბამისად, დასკვნის პროექტში მოცემული გარემოებები დარჩა უცვლელი.

**ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება**

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

**1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია**

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მისია, რომელიც გურიის რეგიონში ერთადერთი მრავალპროფილური პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაა, არ ეწინააღმდეგება პროფესიული განათლების შესახებ კანონით დეკლარირებულ ეროვნულ მიზნებს, გაჟღერებულია თუ რა არის კოლეჯის მთავარი მიზანი, ვის და რას ემსახურება, რის მიღწევას ცდილობს საკუთარი საქმიანობით. დაწესებულების მისია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისთვის თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის, პროფესიულ თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“, როგორც რეგიონში ერთადერთი მრავალპროფილური პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება, გურიაში სამ მისამართზე ოპერირებს: ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში, რაც აღნიშნულია კოლეჯის მისიაში - ხაზგასმულია მისი ტერიტორიული სამოქმედო არეალი. დაწესებულება 14 მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, ასევე ყველა მისამართზე ჯამურად მილევად რეჟიმში ხორციელდება 18 პროგრამა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ხედვა გამომდინარეობს მისიიდან, ასახვას მისიის რეალიზების სამომავლო მდგომარეობას 2031 წლისთვის, რომელშიც დეკლარირებულია ამბიციური განაცხადი - კოლეჯი გახდეს დასავლეთ საქართველოს ლიდერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ღირებულებები, როგორც მათი მთავარი პრინციპები მის ყოველდღიურ საქმიანობაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ მისია, ხედვა და ღირებულებები თავდაპირველად გაზიარებულია შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, შემდგომ კი - დაწესებულების პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობა უზრუნველყოფილია - განთავსებულია მის ვებ გვერდზე, დატანილია სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ვებ გვერდი http://www.horizonti.ge/
2. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სამუშაო ჯგუფის ოქმები;
4. შიდა კორესპონდენცია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ შემუშავებული აქვს „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესი“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ.შ-ის 2020 წლის 29 მაისის N04-66 ბრძანებით. წესი გულისხმობს სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვას დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი და რომლის წევრებად მოიაზრებიან დირექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის წევრები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა ჩართული მხარეები. დოკუმენტი განსაზღვრავს სამუშაო ჯგუფის მიერ საჭიროებათა კვლევის ჩატარებას და ე.წ. კოლეჯი სტრატეგიული ქოლგის - მისია, ხედვა, ღირებულებების, და ე.წ. სტრატეგიული ჩარჩოს - სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების, შემუშავებას. სამუშაო შეხვედრებს, განხილვებს, SWOT ანალიზის ჩატარებას ხელმძღვანელობს დირექტორი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. სამოქმედო გეგმა ეყრდნობა სტრატეგიას და მოიცავს მიზნის/ამოცანის მისაღწევს აქტივობებს, დროში გაწერილ გეგმას, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებს და საჭირო ბიუჯეტს. გეგმებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით წესში მითითებულია, რომ „ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, განხორციელებული მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით“. დოკუმენტის თანახმად, გეგმების შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს ახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იქმნება დირექტორის ბრძანებით და რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

1.2.1.1 დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგეგმება „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესის“ გადამუშავება. ექსპერტების მიერ, განმავითარებელი რეკომენდაციის სახით, დაწესებულებას განემარტა, რომ სასურველია დოკუმენტის დახვეწისას გათვალისწინებული იქნას ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუს შედეგად გამოვლენილი საკითხები. კერძოდ, სასურველია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია მოიცავდეს გეგმების გაზიარების პროცედურას, სულ მცირე გაზიარების ფორმას/ფორმატს; გაზიარების და გაზიარების ამსახველი მტკიცებულებების მოგროვების მექანიზმებს; ცვლილებების განხორციელების პროცედურას, ცვლილებების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობის მექანიზმს; მონიტორგინის განხორციელების ინტენსივობასა და პროცედურებს, სულ მცირე ფორმას/ფორმატს (ანგარიშების წარდგენა, ღია შეხვედრა, ინტერვიუ, სისტემა/პლატფორმა); ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირების თაობაზე ინფორმაციას (შესაძლებელია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელეს სხვადასხვა სახით).

2. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია კოლეჯის მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი უზუსტობების თაობაზე, კერძოდ, დასახლებებს შორის ცდომილება - „სტრატეგიული მიზნებისა“ და „სტრატეგიული ამოცანების“ ნაცვლად მითითებულია „დაგეგმილი აქტივობები“, რაც ინდიკატორის მოთხოვნებთან ტექნიკურ შეუსაბამობად ფასდება. ვიზიტის დასასრულს კოლეჯმა წარმოადგინა „2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დირექტორის მ.შ.-ს 2025 წლის 11 მარტის N66834 ბრძანებაში კოლეჯის დირექტორის მ.შ.-ს 2025 წლის 20 ივნისის N20284 ბრძანებით ცვლილების შეტანის გზით დამტკიცებული დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გამოკვეთილია სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამასთან არიდებულია მიზნებისა და ამოცანების გეგმის სხვადასხვა ნაწილში განთავსება და ისინი, მათ შორის ურთიერთმიმართების დადგენის გამარტივების მიზნით, თავმოყრილია ცხრილში ერთიანი სახით. 7 წელზე გათვლილი გეგმა ითვალისწინებს შესრულების ინდიკატორებსა და პასუხისმგებელ პირებს (დამატებით დაგეგმილ აქტივობებს, რაც არ წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის სავალდებულო ნაწილს და უმეტესად ზუსტდება სამოქმედო გეგმაში).
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესის“ თანახმად, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სხვა ჩართულ მხარეებში მოაზრება დაწესებულების სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეები, მათ შორის პარტნიორები, დამსაქმებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო უწყებები. ვიზიტის დროს ინტერვიუერების ფარგლებში დროს დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობა, თუმცა ექსპერტების მიერ დაწესებულებისადმი გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია 1.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში ფარავს წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გასაუმჯობესებელ საკითხს გაზიარების და გაზიარების ამსახველი მტკიცებულებების მოგროვების მექანიზმების შემუშავების ნაწილში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილ დაწესებულების დირექტორის მ.შ.-ს 2024 წლის 31 დეკემბრის N04-234 „ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი უზუსტობების თაობაზე ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში არ არის შეტანილი სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზანი, ხოლო სტრატეგიული ამოცანების ფორმულირება და რაოდენობა არ ემთხვევა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულს. აღნიშნული შეუსაბამობის მიუხედავად შინაარსობრივად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ვიზიტის დასასრულს კოლეჯმა წარმოადგინა რედაქტირებულ სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, 2024 წლის 31 დეკემბრის N04-234 ბრძანებით დამტკიცებული და 2025 წლის 20 ივნისის N19145 ბრძანებით კორექტირებული 2025 წლის სამოქმედო გეგმა (სადაც ზოგიერთი სტრატეგიული ამოცანა მოცემულია გაერთიანებული სახით, შესაბამისად ვერ იმეორებს ან/და შლის სტრატეგიული გეგმისა თუ ამოცანის ნუმერაციას), რომელიც მოიცავს აქტივობებს, საჭირო რესურსებს, პასუხისმგებელ პირებს, დამატებით შემსრულებელებს და სხვა ჩართულ მხარეებს. გეგმაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ სათაურში წლები არ არის სწორად მითითებული, ხოლო თვეების რიგითობას არ აქვს დასახელება/ნუმერაცია.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესი;
2. კორექტირებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
3. კორექტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. ვებ გვერდი http://www.horizonti.ge/
5. ჯგუფის სხდომის ოქმები;
6. შიდა კორესპონდენცია;
7. გასაუბრება.

**1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა
1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.2 ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მ.შ-ის 2020 წლის 29 მაისის N04-66 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესთან" დაკავშირებით მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში, ექსპერტების მიერ დაწესებულებისადმი გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია 1.2.1.1 ინდიკატორის ფარგლებში ფარავს წინამდებარე ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების გასაუმჯობესებელ საკითხს.

კოლეჯის მიერ ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ დაწესებულებაში გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება, რის დასტურადაც წარმოებულია სამუშაო ჯგუფის ოქმები, ჯგუფის სამუშაო გეგმა, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები. ანალიზის თვალსაზრისით ანგარიშებში აღნიშნულია როგორც შესრულებული, ასევე ნაწილობრივ შესრულებული ან შეუსრულებელი აქტივობები, თუმცა სასურველია მეტად დაკონკრეტდეს აქტივობების ნაწილობრივ შესრულების და შეუსრულებლობის მიზეზები და გამოიკვეთოს საანგარიშო პერიოდისთვის აქტუალური საკითხების შემდგომ ვადაზე გადანაწილების აუცილებლობა. ამასთან უმჯობესია სამუშაო ჯგუფის ოქმებს მიეცეს მეტად ფორმალური სახე და ოქმის დასახელებით გაფორმებული დოკუმენტების წარმოება განხორციელდეს ერთგვაროვანი ფორმით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3.ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ზიარდება თანამშრომლებს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით და საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ გვერდზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანის, შეფასების და მონიტორინგის წესი;
2. კორექტირებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
3. კორექტირებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
4. ვებ გვერდი http://www.horizonti.ge/
5. სამუშაო ჯგუფის ოქმები;
6. შესრულებული სამუშაოების შესახებ შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშები;
7. შიდა კორესპონდენცია;
8. გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული სტუდენტების მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნებისათვის კოლეჯს შემუშავებული აქვს 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მექანიზმები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან.

   ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი გარემოებები: კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები 2023 და 2024 წლის მიღებების გამოცხადების შესახებ, პროფესიული სტუდენტები ჩარიცხულნი არიან საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში. აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეტანილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის რეესტრში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" გათვალისწინებით.

სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, ისარგებლოს შეფასების გასაჩივრების მექანიზმით, ფორმალური განათლების აღიარებით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენით, განმეორებითი შეფასების მექანიზმით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებით და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემთხვევითი შერჩევის გზით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა  და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიერ მოდიფიცირებული/აკომოდირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებისა და ადაპტირებულ სასწავლო რესურსებზე წვდომის პრაქტიკა. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, არ დამდგარა მიღებული შეფასების გასაჩივრების პრეცენდენტი.  კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება პროფესიული სტუდენტის უზრუნველყოფა დამხმარე რესურსით, უფლებამოსილება მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,  მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება, გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა, საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში.  კოლეჯს შემუშავები აქვს დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი წესი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის მიერ 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" ასახულია პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ ძირითადი ინფორმაცია, აღნიშნული წესი ვებგვერდზე საჯაროდაა ხელმისაწვდომი. პროფესიულ სტუდენტებს განემარტებათ მათი უფლებები, დამკვიდრებული პრაქტიკით, სწავლის დაწყებამდე გაცნობითი სახის შეხვედრები ტარდება, კოლეჯის ადმინისტრაცია  აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რითაც დასტურდება საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ და სარგებლობენ განმეორებითი შეფასების მექანიზმით, თუმცა აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრებისთვის არასდროს მიუმართავთ კოლეჯის ადმინისტრაციისთვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯს 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ აპელაციის განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა 2022, 2023 და 2024 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის წესით შეამოწმა კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 და 2024 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან, სადაც ასევე გაწერილია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით. ასევე ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. დაწესებულებამ წარმოადგინა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტისთვის შედგენილი მოდიფიცირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს /კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
4. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
5. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება;
6. საორიენტაციო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან ერთად აწყობს საკონსულტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები.
   პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის შედეგის მიღწევის თვალსაზრისით. შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ და უზრუნველყოფს აღნიშნული სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიღწევის შესაძლებლობების განხილვას. პროფესიული განათლების მასწავლებლები პერიოდულად, ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფურ შეხვედრებს, რომლის ფარგლებშიც პროფესიული სტუდენტები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში მიღებულ გამოცდილებას და მსჯელობენ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განვლილი პერიოდის განმავლობაში მათთვის გამოწვევას წარმოადგენდა. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალური ქსელის ჯგუფებს. კოლეჯის პერსონალმა დამატებით აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის გამოხატავენ მზაობას დაეხმარონ პროფესიულ სტუდენტებს და შეუქმნან სწავლებისთვის კომფორტული გარემო. ამასთან, კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი. კოლეჯის პროფორიენტაციის მენეჯერმა წარმოადგინა კვლევა, სადაც პროფესიული სტუდენტები სამივე მისამართზე დადებითად ახასიათებენ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანხმად, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტთა ყოველი მიღების პირველივე სასწავლო დღეს გეგმავს და უზრუნველყოფს მათთან გაცნობით შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობენ ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ღონისძიებებია: ა) პროფესიულ სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზება, სასწავლო პროცესის დაწყებამდე: ბ) პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფთან პერიოდული შეხვედრები, იმ პერიოდულობით, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან თანამშრომლობას; გ) ინდივიდუალური შეხვედრები და კონსულტაციები პროფესიულ სტუდენტებთან, მათი საჭიროების მიხედვით; დ) კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელთან ან პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან; ე) კონსულტაციები ადმინისტრაციულ პერსონალთან; ვ) ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების დაგეგმვა და განხორცილების მხარდაჭერა. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და ფოტომასალა, რომელიც განთავსებული იყო კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი დადასტურებულია პროფესიული სტუდენტების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის N04-229 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის" შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან გონივრულ ვადაში. კოლეჯის საქმისწარმოების წესის მიხედვით, კოლეჯში მატერიალურად შემოსული კორესპონდენცია შემოსვლის დღეს ელექტრონულად იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში e-flow. დაწესებულების საქმისწარმოების წესის თანახმად, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპონდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საქმისწარმოების მენეჯერს, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლეჯი გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს ცნობის გაცემის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას და წარადგინა შესაბამისი კორესპონდენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ძირითადად ცნობებს სამივე მისამართზე იმავე დღეს გასცემენ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის სერვისები, რაც გულისხმობს საკვანძო კომპეტენციების, ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით პროფესიული სტუდენტისათვის სხვა უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კოლეჯის მიერ 2021, 2022, 2023 მიღების პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ითხოვდნენ სპორტული, ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი აქტივობების ჩატარებას, რომლის შემდგომი რეაგირებაც დადასტურებულ იქნა შესაბამისი ფოტომასალით. კოლეჯის ტერიტორიაზე არსებობს სხვადასხვა სტუდენტური სივრცეები, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების სპორტული აქტივობებისათვის. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორც სპორტულ შეჯიბრებებში, ასევე ცნობიერების ამაღლების სხვადასხვა კამპანიებში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. კოლეჯში „ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ მოდულის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სასწავლო პროცესის, რესურსებისა და სასწავლო გარემოს შეფასება. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. პროფესიულ სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება კითხვარების მეშვეობით. კერძოდ, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ, 10 სამუშაო დღის განმავლობაში პროფესიული სტუდენტები ავსებენ კითხვარებს, რომელთა ანონიმურობა დაცულია. აღნიშნული კითხვარების ანალიზის საფუძველზე კი შიდა მხარდაჭერის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და დასახავს მათი აღმოფხვრის გზებს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, შემთხვევითი შერჩევის გზით, შეისწავლა 2022 წლის მიღების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში, სადაც პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯის ადმინისტრაციულ და საინფორმაციო მხარდაჭერას, პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობას სასწავლო პროცესში, რესურსებით ხელმისაწვდომობას, სწორ კონსულტირებას, შეფასებასთან და მიღწევებთან დაკავშირებულ რეფლექსიას, შეფასების პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და პრაქტიკული კომპონენტის სწავლების დროს შესაბამის მასალა-ნედლეულთან და აღჭურვილობასთან წვდომის ფაქტს. კოლეჯმა აგრეთვე წარმოადგინა შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის სხდომის ოქმები. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს კოლეჯი ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქმისწარმოების წესი;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
4. კოლეჯის ვებ-გვერდი;
5. აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;
6. ინტერვიუს შედეგები.

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის'' დირექტორის 2021 წლის 04-185 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები" რომლის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების უზრუნველყოფა მათი კარიერული მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავების გზით. აღნიშნული წესის თანახმად, დაწესებულება ატარებს შეხვედრებს სკოლებში, ორგანიზაციების ბენეფიციარებსა და სამუშაოს მაძიებლებთან, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული პირების დეტალურ ინფორმირებას დაწესებულებისა და მისი პარტნიორი დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული სწავლებისა და დასაქმების პირობების შესახებ. აგრეთვე, აღნიშნულ ღონისძიებათა მეშვეობით ვრცელდება დაწესებულების მიერ განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნად პროფესიათა შესახებ დამატებითი ინფორმაცია. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული წინსვლის მიზნით, დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი რეგულარულად ახორციელებს დაინტერსებულ პირთა კონსულტირებას, როგორც პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც. კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ ხშირად ატარებს შეხვედრებს სტუდენტებთან, ასევე დასძინა, რომ ატარებს კვლევებს სტუდენტების კარიერულ მომსახურეობის საჭიროებებზე. ვინაიდან აღნიშნული კვლევები ტარდება ზეპირი ფორმით და შესაბამისად არ მოპოვება კვლევების ციფრული ვერსიები, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასურველია კვლევები იწარმოებოდეს ციფრული ფორმით, ამგვარად მონაცემების ანალიზი და მათი დამუშავება იქნება უფრო სანდო.
   <u>3.2.2.1 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები" გაიწეროს პროფესიული სტუდენტებისთვის კონსულტირების გაწევის, მხარდაჭერის ღონისძიებების, კვლევების ჩატარების პერიოდულობა და განისაზღვროს აღრიცხვიანობის სანდო ფორმა.</u>
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტის'' რეგულაციის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და მათ მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. დაწესებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუდმივად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული, მათი პროფილის შესაბამისი ვაკანსიების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებასა და საჭიროების შემთხვევაში, ფორმალურ საკითხებთან მიმართებით სათანადო მხარდაჭერას. კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მონაწილეობასა და ჩართულობას.
3.2.2.2 პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას შესაბამისი ვაკანსიების შესახებ უზრუნველყოფს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი შეხვედრების და სატელეფონო კომუნიკაციის ფარგლებში. ექსპერტების განმავითარებელი რეკომენდაციაა, მეტი მოქნილობისთვის, ინფორმაციის სწრაფი და დაუბრკოლებელი გავრცელებისთვის, მოხდეს ვაკანსიების სოციალურ, დახურულ ჯგუფებში განთავსება.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტის'' დირექტორის 2021 წლის 04-185 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების" თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულების შემდგომ ტარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც იკვლევს დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით რომელიც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. კოლეჯის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფს განუმარტა, რომ კოლეჯი მეორე წელია კურსდამთავრებულთა კვლევისათვის იყენებს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ პორტალს www.evaluation.ge, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2023 წლის კურსდამთავრებულების აზრის შესწავლისთვის საველე სამუშაოების მართვისა და მონაცემების კონსოლიდაციისთვის გამოყენებული იქნა პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება ელექტრონულად, დისტანციურად, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის გამოყენებით. ანგარიში მიმოიხილავს პროფესიული განათლების ყველა დარგის ფარგლებში ზოგად ტენდენციებს კურსდამთავრებულთა დასაქმების, სწავლით კმაყოფილების და კარიერული განვითარების მიმართულებით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. წინა ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე, მექანიზმების თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულების შემდგომ ტარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც იკვლევს დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით რომელიც დაამთავრა, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული პორტალის, www.evaluation.ge-ის მიერ გენერირებული მონაცემებით კურსდამთავრებულთა 88% დადებითად აფასებს კავშირს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის ურთიერთკავშირს, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას და სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებას. დაწესებულება შესაბამისად ცდილობს სხვადასხვა სერვისების მათ შორის სტუდენტური სერვისების მიმართულების განვითარებას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
2. კოლეჯის ვებგვერდი;
3. აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;
4. კურსდამთავრებულთა კითხვარი;
5. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
6. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
7. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ შემუშავებული აქვს დაწესებულებას სტრუქტურა, რომელიც საჯაროდ განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. წესდების თანახმად, კოლეჯის დირექტორი არის დაწესებულების მართვასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. სტრუქტურის თანახმად, დირექტორს ექვემდებარება დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და ადმინისტრაციის ნაწილი, რომელთაც თავის მხრივ ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირები. საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციებია: დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, შესყიდვების სპეციალისტი ლოჯისტიკის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, იურისტი, შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტი, ელექტრონული საინფორმაციო სისტემის მართვის სპეციალისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, საქმისწარმოების მენეჯერი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და მართვის მენეჯერი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, დამხმარე თანამშრომელი, დარაჯი, დამლაგებელი, მედდა, მეეზოვე, ცეცხლფარეში.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის 04-201 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, სადაც თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული და გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა დოკუმენტი საჭიროებს დახვეწას, ვინაიდან რიგ შემთხვევებში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომები და მკაფიოდაა გასამიჯნი ზოგიერთი ფუნქცია-მოვალეობა. (მაგალითად: ინფორმაციული ტექნოლოგიები სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა არ ითვალისწინებს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ტექნიკური გამართულობაზე პასუხისმგებლობას, თუმცა გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნული პირი ასრულებს ამ ფუნქციას. ასევე, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა ითვალისწინებს ლანჩხუთის და გორაბერეჟოულის მისამართებზე პროფორიენტაციის ხასიათის სამუშაოების შესრულებას, თუმცა გასაუბრებით დგინდება, რომ ადგილობრივი თანამშრომლები ასრულებენ ამ ფუნქციას). ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის სამივე მისამართის (ქალაქი ოზურგეთი, ლანჩხუთი და გორაბერეჯოული) პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.
<u>4.1.1.1 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები მასში დაშვებული ტექნიკური უზუსტობების აღმოსაფხვრელად და ზოგიერთი ფუნქციის დასაზუსტებლად (იხ. ინდიკატორის აღწერა).</u>
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" საშტატო ნუსხის თანახმად, პერსონალის თანამდებობები იყოფა შემდეგ სახეებად: დირექცია, ადმინისტრაცია და ტექნიკური პერსონალი. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი პოზიცია, რაც ასახულია დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის 04-201 ბრძანებით დამტკიცებულ ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებში,. დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს/აქტივობებს ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. გასათვალისწინებელია 4.1.1.1 ინდიკატორის აღწერა და ანალიზი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" საშტატო ნუსხის, სტრუქტურისა და დირექტორის 2021 წლის 7 დეკემბრის 04-201 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების თანახმად, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელსაც ექვემდებარება ერთი - ხარისხის მართვის სპეციალისტი. ხარისხის მართვის მენეჯერი უზრუნველყოფს ხარისხის მართვის -„დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება" ციკლის უწყვეტობას, ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში, ასევე პროცესების ეფექტურობის შენარჩუნებასა და აღსრულების მონიტორინგში, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმას. მონაწილეობს დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის/ცვლილებების განხორციელების/ანგარიშგების პროცესში, ხელმძღვანელობს/მართავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ატარებს კვლევებს, ახდენს შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აცნობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაინტერესებულ პირებს, ამზადებს თვითშეფასებას და ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და დირექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციისა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით. კოლეჯში აგრეთვე დასაქმებულია ხარისხის მართვის სპეციალისტი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაო აღწერილობების გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის სტრუქტურა;
2. კოლეჯის საშტატო ნუსხა;
3. შინაგანაწესი;
4. სამუშაო აღწერილობები;
5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა;
7. გასაუბრების შედეგები.

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, ასევე ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-06 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და შინაგანაწესის შესაბამისად. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია ა(ა)იპ კოლეჯ ჰორიზონტში ისეთი HR სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კადრების მოზიდვას, მათ კარიერულ ზრდასა და შენარჩუნებას, პერსონალის ინტელექტუალური რესურსის ეფექტიანად გამოყენებას. პოლიტიკის დოკუმენტით უზრუნველყოფილია პერსონალის შერჩევის პროცესის ადმინისტრირება და კონკურსის ჩატარების წესი, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები, ახალი თანამშრომლის მიღების და სამუშაოსთან ინტეგრაციის პროცესი და პროცედურები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სამუშაო ადგილით დასაქმებულის უზრუნველყოფა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა ვალდებულებები, გამოსაცდელი ვადით დასაქმება, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო, შვებულებით სარგებლობის პირობები, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები, შესრულების დისციპლინა, დისციპლინური წახალისება და პასუხისმგებლობა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და დავის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხილვისა და გადაწყვეტის გზები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან, არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსსა და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების შესწავლის და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

4.1.2.1 ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაიხედოს შრომითი ხელშეკრულება და გასწორდეს მასში არსებული ტექნიკური უზუსტობები.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-06 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის შერჩევის პროცესი ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის. HR სისტემა ეფუძნება სამართლიანობასა და გამჭირვალობას, თანასწორობას, ტოლერანტობასა და გუნდურ ხელშეწყობას. თითოეულ გამოცხადებულ ვაკანსიაზე, კანდიდატის შერჩევის პროცესი, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის შესაძლოა მოიცავდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის (პირველადი გადარჩევა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით), პროფესიული კომპეტენციის განსაზღვრას (წერითი ტესტირება, პრაქტიკული დავალება ან სხვა) და გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის გაზიარების მიზნით, შემთხვევითი შერჩევის წესით შესწავლილ იქნა კოლეჯის (ქ. ოზურგეთის გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის მისამართებზე) თანამშრომლების შერჩევის პაკეტები. შერჩევის პროცესი განხორციელებული იყო თანმიმდევრულად კოლეჯის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანახმად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, თანამდებობრივი დებულების, საშტატო ნუსხის მიხედვით დასაქმებულების პირად საქმეებში დაცული დოკუმენტაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს.

   4.1.2.3 პირადი საქმეების შესწავლისას დგინდება, რომ დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მაგალითად თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ინახება განცალკევებით, ზოგიერთი რეზიუმე გვხვდება ხელნაწერი ფორმით. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია პირადი საქმეები მოწესრიგდეს შიდა რეგულაციით განსაზღვრული შემადგენლობის მიხედვით. ასევე უმჯობესია გადაიხედოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მიმართ წაყენებული აკადემიურ განათლების მინიმალური მოთხოვნა და საოფისე პროგრამების ფლობის მოთხოვნა განისაზღვროს შესასრულებელი საქმიანობისთვის აუცილებელი განათლების დონის და საჭირო უნარების შესაბამისად, დაკონკრეტდეს სამუშაო გამოცდილების სფერო/მიმართულება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N 04-06 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილი პერსონალის სამუშაო გარემოში ადაპტაციისა წესი და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, უტარდება შესაბამისი ტრენინგი/ინსტრუქტაჟი. კოლეჯის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი მექანიზმების შესაბამისად, უზრუნველყოფილია დასაქმებულთა ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, მათ შორის პროგრამის შემუშავების, ინიცირების, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სხვა პროცესებთან დაკავშირებით. კოლეჯის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულნი ლანჩხუთისა და გორაბეროჟოულის სასწავლო ფართის ფუნქციონირების ნაწილში და არსებული ადამიანური რესურსით ხელს უწყობენ კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის სტრუქტურა;
2. კოლეჯის საშტატო ნუსხა;
3. შინაგანაწესი;
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. შრომითი ხელშეკრულებები;
7. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N 04-06 ბრძანებით დამტკიცებული “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის თანახმად, HR სისტემის შექმნას უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა და შენარჩუნება, პერსონალის განვითარების პროგრამების შემუშავება, ტრენინგები კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოსამზადებლად, მოტივაციის გაზრდა, პერსონალის შეფასება და სამუშაო კმაყოფილების კვლევა და დისციპლინური პასუხისმგებლობები. პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს: მოახდინოს კოლეჯის პერსონალის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი კარიერული განვითარების გზების დასახვა, უზრუნველყოს კოლეჯის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობების კვლევა შეფასებისა და თვითშეფასების გზით და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას, უზრუნველყოს პერსონალის საჭიროების კმაყოფილების გამოვლენა. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ ტარდება კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევა, რომლის შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვიზიტის ფარგლებში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, კოლეჯში პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევა ტარდება საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (კითხვარების შევსება; ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა და სხვა), კვლევა ტარდება ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის მიერ. შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და შეფასების შედეგების შესაბამისად, შესაძლოა განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროების კვლევაზე დაყრდნობით მასწავლებელთა განვითარების გეგმა, რომელზე დაყრდნობითაც კოლეჯის ადმინისტრაცია ცდილობს სხვადასხვა საჭიროებებზე რეაგირებას. კოლეჯის მასწავლებლები და ადმინისტრაცია ესწრება განათლების სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და ა.შ. აღნიშნული ასევე დასტურდება კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალით.
   <u>4.2.1.2 ექსპერტების მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კვლევაზე დაყრდნობით, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით შემუშავებული იქნეს პერსონალის (არა მხოლოდ განმახორციელებელთა) განვითარებაზე ორიენტირებული გეგმა (მაგალითად IT რესურსების გამოყენების გაძლიერების მიმართულებით, რომლის განხორციელებაც დაწესებულებას შიდა რესურსით შეუძლია).</u>
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის მართავს პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებში და სხვა განმავითარებელ აქტივობებში მონაწილეობას. კოლეჯი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსის გამოყოფას ტრენინგებზე/კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით. პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი კოლეჯის საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საქმიანობაში, იზიარებენ ადმინისტრაციის მოსაზრებებს და ხშირად ესწრებიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და ა.შ. აღნიშნული ასევე დასტურდება კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N 04-06 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის“ თანახმად, ყველა შერჩეული კანდიდატი ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის კოლეჯის დირექტორის მოადგილის დახმარებით ეცნობა მისთვის დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, მოქმედ შინაგანაწესს, კოლეჯის ორგანიზაციულ კულტურას და ტრადიციებს. ეხმარება ახალ თანამშრომელს ადაპტაციაში. შერჩეულ კანდიდატებთან ფორმდება ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის და პროფესიული განათლების სისტემაში შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე შერჩეულ კანდიდატებს, რომელთაც არ აქვთ პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების გამოცდილება, დასაქმების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლის კარიერის საწყის ეტაპზე იღებენ მხარდაჭერას გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის/სასწავლო პროცესის/ხარისხის მართვის მენეჯერისგან.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ხელს უწყობს და ახალისებს ადამიანური რესურსის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. კოლეჯის დირექცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება, სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა, სხვადასხვა კონკურსებში, გამოფენებსა და კონფერენციებში კოლეჯის წარდგენა. კოლეჯის შინაგანაწესი განსაზღვრავს წახალისების სახეს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის და გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე წახალისების ფორმას. წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ფულადი პრემია. დისციპლინური წახალისების გამოყენების უფლება აქვს დირექტორს, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური წახალისების სახეს. წახალისების ღონისძიებების შესახებ განსაზღვრულია, ასევე, პერსონალის მართვის პოლიტიკით. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები თანამშრომელთა ფულადი პრემიით წახალისების შესახებ..



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1 - 5 საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერების არარსებობიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, დანერგილი პრაქტიკის მიხედვით, შესაბამის რეგულაციაში აღწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაყენების ფორმები და წახალისების მექანიზმები, განისაზღვროს ინიციატივების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირები.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
2. შრომის შინაგანაწესი;
3. გადამზადების გეგმა;
4. კმაყოფილების კვლევა;
5. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

**5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს სამ შემდეგ მისამართზე: 1. ქალაქი ოზურგეთი, შოთა რუსთაველის ქუჩა N8 (უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, 45 წლის ვადით, დამოწმების თარიღი - 30.11.2021, ფართობი - 3963 კვ.მ.) 2. ქ. ლანჩხუთი, ქუჩა ჟორდანია, N76-ის მიმდებარედ (აღნაგობის უფლების საფუძველზე, არსებობის ვადით, დამოწმების თარიღი - 14.07.2021, ფართობი - 1195.68 კვ.მ.) 3. მუნიციპალიტეტი ჩოხატაური, სოფელი გორაბერეჟოული (უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე 45 წლის ვადით, დამოწმების თარიღი - 24.11.2022, ფართობი - 5552.00 კვ.მ.). ვიზიტისას სამივე მისამართზე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა ყველა ის დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა შენობა-ნაგებობების ფლობა, აგრეთვე შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმები, რომელთა გაცნობისა და ადგილზე დათვალიერების შემდგომ დადასტურდა რომ კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსით. კოლეჯი (სამივე მისამართზე) ფლობს შემდეგ ფართებს: აუდიტორიები, ფოიე, ბიბლიოთეკა, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, დაცვის ოთახი, მასწავლებლების ოთახი, ადმინისტრაციის ოთახები, რეკრეაციული ზონა, სასაწყობე ფართი, სველი წერტილები.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯში „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) მოქმედებს დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N50764 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი“, სადაც გაწერილია რომ კოლეჯის თანამშრომლებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის მატერიალური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ პერსონალს და პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მატერიალური რესურსი მათთვის ხელმისაწვდომია საჭიროებისამებრ. ინტერვიუების დროს დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები იყენებენ ბიბლიოთეკას ინფორმაციის მოძიების მიზნით. კოლეჯში არსებობს როგორც შიდა ისე გარე რეკრეაციული სივრცე სტუდენტებისთვის.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) შენობების ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 17 ნოემბრის N04-184 ბრძანებით. გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი - დამლაგებელი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ვიზუალური დათვალიერების შემდგომ აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის „ჰორიზონტი“ სამივე მისამართის შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ამის დასადასტურებლად კოლეჯმა წარმოადგინა კომუნალური გადასახადების ქვითრები, აღნიშნული სისტემის არსებობა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითაც.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. კოლეჯს „ჰორიზონტი“ შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია“, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ.შ.-ს 2025 წლის 10 მარტის N59196 ბრძანებით. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც სამუშაო სივრცეში მყოფ პირთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს, კოლეჯში გარკვეული სიხშირით ტარდება ტრენინგები და ინსტრუქტაჟები, რომელიც აღრიცხულია შესაბამის ჟურნალში. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ იგი მზადაა კოლეჯში შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. კოლეჯს „ჰორიზონტი“ შემუშავებული აქვს დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N50764 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი“, სადაც გაწერილია თუ როგორ უნდა მოხდეს სასწავლო პროცესის მომარაგება შესაბამისი მასალითა და ნედლეულით, აგრეთვე გაწერილია პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უფლებამოსილები არიან აღნიშნული მასალის მიღებასა და განკარგვაზე. კოლეჯში დირექტორის მ.შ-ს 2025 წლის 20 მაისის N50875 დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი“, დოკუმენტების გაცნობისა და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული პროცესი გაწერილი წესების დაცვით ხორციელდება. ვიზიტის დროს წარმოდგენილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის კითხვარები მასალა-ნედლეულის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯში „ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე პრინციპის დაცვით და სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს მატერიალური რესურსის შეფასებას. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციით (პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის კითხვარები) დასტურდება, რომ პერიოდულად ხდება მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარება. გასაუბრების დროს მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო მატერიალური რესურსის განახლება-განვითარებას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. კოლეჯში „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, ისინი მარაგდება უწყვეტი წყლით. სივრცეებს აქვს ბუნებრივი ან/და ხელოვნური განათება და ვენტილაცია. კოლეჯში პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა აქვს ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის შშმ სტუნდენტებს, ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება ვიზუალური შემოწმებით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

9. კოლეჯის „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) ყველა სასწავლო ფართს, აგრეთვე ბიბლიოთეკებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, აღნიშნული დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

10. კოლეჯში „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებებში არსებული სივრცეები და სათავსოები განლაგებულია იმგვარად, რომ სასწავლო პროცესი და ადმინისტრაციული პროცესი არ იზღუდება.
5.1.1.10 დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს ბიბლიოთეკის სივრცის ნაწილში საარქივე მასალების განთავსების გამორიცხვა და პირადი საქმეების დაცულ მდგომარეობაში, წვდომის უფლებამოსილების არ მქონე პირებისთვის მიუწვდომელ ადგილზე შენახვა.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

11. კოლეჯში „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) დირექტორის მ.შ-ს 2025 წლის 10 მარტის N257203 დამტკიცებულია „ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მატერიალური ან/და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი გამოიყენოს საბიბლიოთეკო წესის დაცვით. ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პერსონალთან ინტერვიუს ჩატარებისას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
2. შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზები;
3. შევსებული ფართების ფლობის სპეციალური ფორმა;
4. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე, მათ შორის შრომითი ხელშეკრულება;
5. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება;
6. დენის, გაზის, წყლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების წესი;
8. მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი;
9. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
10. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;
11. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
13. დათვალიერების შედეგები;
14. ინტერვიუს შედეგები.

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" (სამივე მისამართზე) დაცულია უსაფრთხოების ზომები, ამას ადასტურებს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო მართვის სამსახურის, სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი და შესაბამისი დასკვნა: სოფელი გორაბერეჟოული(ჩოხატაური) - აქტი N16 26.01.2023; ჟორდანიას ქ.N76-ის მიმდებარედ (ლანჩხუთი) - აქტი N17 27.01.2023; შ. რუსთაველის ქ. N8 (ოზურგეთი) აქტი N526 02.12.2024. დაწესებულების სამივე მისამართზე, შენობების ყველა სართულზე თვალსაჩინოდაა აღნიშნული ყველა ის ინსტრუქცია, გამაფრთხილებელი თუ მანიშნებელი ნიშანი, რომელიც გვამცნობს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას, კოლეჯის ყველა შენობას აქვს საევაკუაციო გასასვლელი, უზრუნველყოფილია განათებული მაჩვენებლებით (მაგალითად: „EXIT" ), თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯს „ჰორიზონტი" შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია", რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მ.შ.-ს 2025 წლის 10 მარტის N59196 ბრძანებით და რომლის მე-5 მუხლით გაწერილია გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, იდენტიფიცირებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, ვისაც შეუძლია პირველადი დახმარების გაწევა, ასეთი პირად დაწესებულებას დასაქმებული ჰყავს მედდა, რომელსაც აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის უფლებამოსილება. კოლეჯში, სამივე მისამართზე, არსებობს სპეციალური კაბინეტი, სადაც ინახება პირველადი დახმარების საშუალებები, შენობებში თვალსაჩინოდაა გამოკრული მედდის საკონტაქტო ინფორმაცია, დაინტერესებულ პირებს ადვილად შეუძლიათ დაუკავშირდნენ მას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯს „ჰორიზონტი" (სამივე მისამართზე) შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გორაბერეჟოულის სასწავლო ფართზე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 31 იანვრის N04-3 ბრძანებით დამტკიცებული, ქალაქ ოზურგეთის სასწავლო ფართზე კოლეჯის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2025 წლის 6 მარტის N247567 ბრძანებით დამტკიცებული, ხოლო ლანჩხუთის სასწავლო ფართზე კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 დეკემბრის N04-205 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტები, რომლებიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (წერილები - 07/03/2025, N675458 , 15/12/2022, N548018; 07/02/2022, N317352). კოლეჯში შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი, გაწერილია მათი ფუნქციები და საკონტაქტო ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის სამივე მისამართზე დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებზე პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის შენობებში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და გამაფრთხილებელი ნიშნები.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯში „ჰორიზონტი“ საშტატო ნუსხითა და ორგანიზაციული სტრუქტურით გათვალისწინებულია და შესაბამისად დასაქმებულია დარაჯები, რომელთა უშუალო ხელმძღვანელს წარმოადგენს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი. დირექტორის მ.შ.-ს 2025 წლის 11 მარტის N266361 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი“. კოლეჯში (სამივე მისამართზე) შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო-კონტროლის სისტემით, გამოკრულია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 ივნისის N18995 ბრძანებით ვიდეო სისტემის მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია დარაჯი, ხოლო ვიდეო ჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირად - ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები;
2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია;
3. მედდის პირადი საქმე და შრომითი ხელშეკრულება;
4. კოლეჯის შინაგანაწესი;
5. სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტები;
6. საგანგებო სიტუაციების მართვის დამტკიცებული გეგმები;
7. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილები;
8. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებელი პირის დანიშვნის აქტი;
9. ვიდეომონიტორინგისა და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი;
10. ვიდეოკონტროლზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის ბრძანება;
11. დათვალიერების შედეგები;
12. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯი „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. მათი რაოდენობა საკმარისია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას, კოლეჯის „ჰორიზონტი“ სამივე მისამართზე ხელმისაწვდომია ინტერნეტი. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს „სქაიტელთან“ და შპს „ეარნეტთან“.

   აღსანიშნავია, რომ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მისამართებზე შედარებით მოწესრიგებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ექსპერტთა ვიზიტისას გარკვეული ტექნიკური გაუმართაობა დაფიქსირდა ოზურგეთის მისამართზე (რაც ასევე ასახულია ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოებული გამოკითხვის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების კვლევის ანალიზში), რაც გარკვეულწილად ეტაპობრივად ვიზიტის მსვლელობისას გამოსწორდა. ექსპერტების მოსაზრებით აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურის შეფასებისა და განვითარების ნაწილში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯი „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, რომელიც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით, ახორციელებს კოლეჯში შექმნილი კრიტიკული ინფორმაციის დაცვას, პერსონალური კომპიუტერების პროგრამულ განახლებას, ანტივირუსული სისტემით და შიდა ქსელის უსაფრთხოების დაცვას, წვდომის ბლოკირების გზით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის N198815 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების პირობები. დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის ეფექტიანი რეგულირების მიზნით. პროფესიულ სტუდენტთან, ასევე არასრულწლოვნების შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართს წარმოადგენს ხელმოწერილი თანხმობა პერსონალი მონაცემების დამუშავების თაობაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულება.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯში „ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N04-171 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე პრინციპის დაცვით და სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას. ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტაციით (პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტის კითხვარები) დასტურდება, რომ პერიოდულად ხდება საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შეფასება და განვითარება. გასაუბრების დროს მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიული საქმიანობისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარებას. გასათვალისწინებელია 5.2.1.1 ინდიკატორის აღწერა და ანალიზი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. კოლეჯში „ჰორიზონტი“ (სამივე მისამართზე) მოქმედებს დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N50764 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი“, რომლითაც კოლეჯის პერსონალი და პროფესიულ სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით. კოლეჯის (სამივე მისამართზე) ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით. ვიზიტისას პერსონალთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ აქვთ კოლეჯის საინფორმაციო- საკომუნიკაციო სისტემებთან წვდომა.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. კოლეჯი „ჰორიზონტი“ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ახორციელებს ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით, კოლეჯის დომენით რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტით („სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №5 დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე). ასევე გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ იყენებენ სოციალურ ქსელებს და სხვა საკომუნიკაციო პლატფორმებს. პერსონალის ინფორმირების მიზნით გამოიყენება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალება. დაწესებულება სამიზნე ჯგუფების ინფორმირებას ახდენს შესაბამისი სისტემის საშუალებით, რაც დასტურდება ინფორმაციის გაგზავნის ფაქტებით, აგრეთვე დაწესებულებაში პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვებით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
2. ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
3. დომენის ხელშეკრულება;
4. ვებგვერდის და სოციალური ქსელის დათვალიერების შედეგები;
5. მატერიალური რესურსის მართვის, სარგებლობის და განკარგვის წესი;
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ;
7. გასაუბრების შედეგები.

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მ.შ.-ს 2024 წლის N04-229 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომლის თანახმადაც საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული და მატერიალური ფორმით. კოლეჯში დასაქმებული საქმისწარმოების მენეჯერის ფუნქციები გაწერილია შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულ სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. ვიზიტის ფარგლებში პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით და მტკიცებულებების შესწავლით დადგინდა, რომ გამოცემული აქტები და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება ზემოაღნიშნული წესის დაცვით, მაგალითად ბრძანებები იწარმოება ელექტრონულად, ხოლო ხელშეკრულებები აღირიცხება მატერიალურ ჟურნალში. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია და უფლებამოსილი პირის მიერაა ხელმოწერილი, დოკუმენტები ბეჭედდასმულია და აკინძული. კოლეჯის სამივე მისამართზე საქმისწარმოების ერთიანი მიდგომები გამოიყენება.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯი „ჰორიზონტი“ საქმისწარმოებისას იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow, როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისთვის. ექსპერტების მიერ ვიზიტისას გადამოწმდა გაგზავნილი და მიღებული კორესპონდენცია სისტემაში, მოხდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირთან, რითიც დადასტურდა, რომ დაწესებულება იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს საქმისწარმოებისთვის. ამასთან კოლეჯი სარგებლობს პროფესიული დაწესებულებების მართვის სისტემით (e-vet.emis.ge), კოლეჯის დომენით ერთიანი საკომუნიკაციო ფოსტით.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯში „ჰორიზონტი" განსაზღვრულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირი - ელექტრონული და საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობაში მითითებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში აპლიკანტთა რეგისტრაციის, სტატუსის ცვლილების ასახვის, პერსონალის მონაცემების შეტანის ვალდებულება. გასაუბრებისა და სისტემის დათვალიერების (შემთხვევითობის პრინციპით რამდენიმე პროფესიული სტუდენტის სტატუსის ცვლილება, რამდენიმე ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლის მონაცემები) შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს ინფორმაციის დროულ ასახვას სისტემაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯს „ჰორიზონტი" დირექტორის მ.შ.-ს 2024 წლის N04-229 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესით" განსაზღვრული აქვს დოკუმენტების შესრულების ვადები. ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა რამდენიმე დაწესებულების მიერ მიღებული და გაგზავნილ კორესპონდენცია, დათვალიერებით დასტურდება კომუნიკაციის არსებობა კოლეჯსა და იმ დაინტერესებულ მხარეს შორის, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელია (მაგ: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი).
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. საქმისწარმოების წესი;
2. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (e-flow) შემოწმების შედეგები;
3. საქმისწარმოების მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
4. ელექტრონული და საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
5. აღრიცხვის ჟურნალები;
6. გასაუბრების შედეგები.

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას
1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი" ვებგვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას, პირველი ეს არის საკომუნიკაციო, მეორე საინფორმაციო. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელის გვერდზე განთავსებულია კოლეჯის ყველა მისამართის საკონტაქტო მონაცემები, აგრეთვე ვხვდებით ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, ასევე პერსონალის შესახებ. ვებგვერდზე წარმოდგენილის ინფორმაცია პროგრამების შესახებ. ვებგვერდზე მარტივია ნავიგაცია და ინფორმაცია განახლებადია.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯი „ჰორიზონტი" არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამას, მიუხედავად ამისა კოლეჯის ვებგვერდზე შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გაცნობა ინგლისურად როგორიცაა დაწესებულების მისია, ხედვა ღირებულებები და კოლეჯის საქმიანობა, მაგალითად: გაცვლითი პროგრამის მიმართულებით.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N50795 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი", რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესის მიზნები, ზოგადი პრინციპები, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირები, საკომუნიკაციო საშუალებები, საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია პირია კოლეჯის საქმისწარმოების მენეჯერი (კოლეჯის იურისტის რეკომენდაციის საფუძველზე), ხოლო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის იურისტი. კოლეჯში დასაქმებულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერი, რომლის მოვალეობაში შედის ვებ გვერდზე ინფორმაციის დროულად განთავსება, მართვა და განახლება, კოლეჯის სოციალური ქსელის მართვა, ელექტრონული და ბეჭდური პროდუქციის დიზაინის დამუშავება. დაწესებულებაში გააზრებული აქვთ, რომ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულებას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის „ჰორიზონტი", ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული 2025 წლის კატალოგი, რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციებს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, აგრეთვე კატალოგში მოცემულია დაწესებულების ისტორია და ჩამოთვლილია მისი მთავარი ფასეულობები.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. კოლეჯის „ჰორიზონტი“ ვებგვერდზე განთავსებულია განახლებული 2025 წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ახალი პროგრამების დამატებისას ან არსებულ პროგრამებში გარკვეული ცვლილებების ასახვისას ხდება კატალოგის განახლება და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის N50795 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი“, რომლის მე-7 მუხლი გულისხმობს უკუკავშირის საფუძველზე ანალიზის განხორციელებას და შედეგებზე რეაგირებას. დაწესებულება ახორციელებს გამოკითხვებს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რაც კოლეჯს ეხმარება ხარისხის გაუმჯობესებაში, უკეთესი გარემოს შექმნაში, სადაც საქმიანობა წარმატებით ხორციელდება.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. https://www.horizonti.ge/
2. https://www.facebook.com/collegehorizonti/?locale=ka_GE
3. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
4. საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი;
5. საზოგადოებასთან ურთიერთობის მართვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
6. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯს „ ჰორიზონტი“ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსი, კოლეჯის როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით. კოლეჯის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, კოლეჯი ყოველი წლის დასასრულს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზო ბიუჯეტს, ითვალისწინებს სხვადასხვა არაპროგნოზირებად გარემოებებს და შესაბამისად ადგენს მომავალი წლის ბიუჯეტს.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯი უზრუნველყოფილია მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებით.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს და წარუდგენს შესაბამის უწყებას. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს/ბალანსს და წარუდგენს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, მათ მიერ განსაზღვრულ ვადებში. ამასთანავე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ყოველი წლის ბოლოს ეგზავნება კოლეჯის ყოველწლიური ანგარიში მათ მიერ მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად. დაწესებულების ფინანსური ოპერაციები განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის პორტალზე.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯი ყოველწლიურად განიხილავს ფაქტობრივ დანახარჯებს და ითვალისწინებს მომდევნო წლის ბიუჯეტირების პროცესში. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე კოლეჯი „ჰორიზონტი“ ყოველი წლის დასასრულს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე www.horizonti.ge. დაწესებულება სათანადო რეაგირებას ახდენს შეფასების შედეგებზე.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სამოქმედო გეგმები;
2. სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები.
3. საოპერაციო ხარჯების დაფარვის დოკუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ**

**I. ზოგადი ინფორმაცია**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თმის მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 28 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა **თმის მომსახურება (ოზურგეთი)** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“, ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „თმისა და სილამაზის მომსახურება“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის” მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „თმის მომსახურება“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „თმის მომსახურება“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 58 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 12 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 73 კრედიტს. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის „თმის მომსახურება " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: C სასწავლო გარემო შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი N41 აუდიტორია.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თმის მომსახურება" პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 21 ზოგადი და ქართული ენის მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი" უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება" ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი" და პარტნიორი კომპანიებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები („ლა ბელა ვია"; „აბუ N"; „მშვენიერება"; „სალონი A&K", „ნინო კაპანაძე", „ამილო", „ახალი სტილი", „მაკრატელი") დოკუმენტი ითვალისწინებს მოდულის „საწარმოო პრაქტიკა" ფარგლებში არაუმეტეს 14 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, მათთვის დამოუკიდებლად მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნას, შესრულებული სამუშაოს შეფასებას, წამოჭრილ საკითხებში დახმარებას. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა რამდენიმე პრაქტიკის ობიექტზე, სადაც კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროფესიული სტუდენტების, პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით მიღების, მზაობა და ასევე აღნიშნეს, რომ აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის გამოცდილება.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება" განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი“ მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე. „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის“ თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვიზაჟის მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 54 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**ვიზაჟის მომსახურება (ოზურგეთი)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“, ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“, შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „თმისა და სილამაზის მომსახურება“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ვიზაჟის მომსახურება“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ვიზაჟის მომსახურება“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 54 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 12 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 69 კრედიტს. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება “ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს: A/C სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 N40 აუდიტორია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვიზაჟის მომსახურება“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 21 ზოგადი და ქართული ენის მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 7 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, **კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის** მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვიზაჟის მომსახურება“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი“ და პარტნიორი კომპანიებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები („ლა ბელა ვია“; „ნინო კაპანაძე“, „ახალი სტილი“, „მაკრატელი“, „აბუ N“; „მშვენიერება“; „სალონი A&K“) დოკუმენტი ითვალისწინებს მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ ფარგლებში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, მათთვის დამოუკიდებლად მუშაობისთვის საჭირო პირობების შექმნას, შესრულებული სამუშაოს შეფასებას, წამოჭრილ საკითხებში დახმარებას. ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდა რამდენიმე პრაქტიკის ობიექტზე, სადაც კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს პროფესიული სტუდენტების, პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით მიღების, მზაობა და ასევე აღნიშნეს, რომ აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის გამოცდილება.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟის მომსახურება“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი“ მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.

„სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის“ თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ **პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სარესტორნო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 102 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 132 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 104 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სარესტორნო მომსახურება (ოზურგეთი)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი  საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი’’ დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.
დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სარესტორნო მომსახურება“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ მოიცავს შემდეგ არჩევით მოდულებს: „ბარის ორგანიზება“ და „ყავის მომზადების ტექნოლოგია“, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიული საგანანმანათლებლო სტანდარტით და უშუალო კავშირშია კვალიფიკაციასთან.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სარესტორნო მომსახურება“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სარესტორნო მომსახურება“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 74 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 18 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 104 კრედიტს, ინტეგრირებული პროგრამის მოცულობაა 102 კრედიტი, ხოლო ინტეგრირებული პროგრამა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 132 კრედიტი. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;

2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი A/C გარემო.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სარესტორნო მომსახურება" პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 11 ინტეგრირებული მოდულების, 20 ზოგადი და ქართული ენის მოდულების, ხოლო 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
<u>2.2.1.5 საგანმანათლებლო რესურსი პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" ფარგლებში ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონულად ან/და მატერიალური სახით, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, სასურველია გამარტივდეს პროცესი და შეიქმნას ეგრედწოდებული QR კოდები, რომელიც გამოიკვრება კედელზე იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიული სტუდენტები ამა თუ იმ პროფესიულ მოდულს გადიან და მითითებული იქნება სახელმძღვანელოს სახელწოდება და შესაძლებელი იქნება კოდის დასკანერებით სახელმძღვანელოს გახსნა, როგორც მაგალითად უკვე აპრობირებულია მენიუების დასკანერება ბევრ რესტორანში.</u>
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი განგარიშებულია 5 (ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში 6) პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. ვებ გვერდი;
9. პროგრამის ბიუჯეტი;
10. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება" ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში (რის საშუალებასაც პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა), შესაბამისად სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რომელის ინფრასტრუქტურაც კოლეჯს გააჩნია. სწავლის შედეგები მიღწევადია ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება" განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი", რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებულ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**ბუღალტრული აღრიცხვა (ოზურგეთი)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ კოლეჯმა ,,ჰორიზონტი“ წარმოადგინა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც ზოგადად განხილულია პროგრამის თანხვედრა დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ გეგმასთან. დოკუმენტის ფარგლებში განხილულია სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2022 წლის ანგარიში, 2022 წელი კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით, გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, მოპოვებულია ივლისი 15, 2023, https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2021/05/Labour-marker-Research-report-_Georgian-Version-1.pdf საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პროფესიული კვალიფიკაციების მოთხოვნა მიწოდების შესაბამისობა- ანგარიში, 25 დეკემბერი, 2020, მოპოვებულია ივლისი 15 https://youthplatform.gov.ge/storage/research_files.
   კოლეჯის მიერ გაანალიზებულია ზემოხსენებული მონაცემები, რის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ: ქვეყანაში/რეგიონში არსებობს მუდმივი მოთხოვნა პროფესიონალ ბუღალტრებზე, მაგრამ მათი დეფიციტი არსებობს, რაც ხელს უშლის ბიზნესებს, კერძო და სახელმწიფო სექტორებს სანდო და ეფექტური ფინანსური მართვის სისტემების შექმნაში.

მოცემული დეფიციტი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას და ხელს უშლის რეგიონულ და ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურ განვითარებას. ამ თვალსაზრისით, კოლეჯის მიერ შემოთავაზებული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების გამომუშავებას, მნიშვნელოვნად ზრდის კვალიფიციური კადრების რაოდენობას რეგიონში, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების გამოჩენას. დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა", ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ბუღალტრული აღრიცხვა" საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება, შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის" დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ბუღალტრული აღრიცხვა“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 99 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 20 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 129 კრედიტს. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A-B გარემო შესაბამისი აღჭურვილობით 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კოლეჯი აღნიშნულ ფართზე ახორციელებს სწავლებას ორ ცვლაში, შესაბამისად აღნიშული ფართი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას, ორ ცვლაში სწავლებით, შესაბამისად თითო ჯგუფი კომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია, ერთი აუდიტორია განკუთვნილია B გარემოსთვის, სადაც ამჟამად განთავსებულია 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის და ერთი კომპიუტერი მასწავლებლისთვის. B გარემო განკუთვნილია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის და გამოიყენება როგორც B, ასევე C გარემოსთვის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული აუდიტორია აღჭურვილია დაფით, კომბაინით (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი), მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამით, კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე ორი აუდიტორია, აღჭურვილი მერხებით, სკამებით, დაფით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულის მასწავლებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 შესაბამისი კომპეტენციის მქონე მასწავლებელი, სულ პროგრამას ახორციელებს 12 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს ასევე განმახორციელებელ პირებს.
პირადი საქმეების შესწავლის და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად და დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში არის ფაქტობრივი უზუსტობა პროგრამის დანართში მოდულის განმახორციელებელსა და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის, სადაც სრულად არის ასახული კონკრეტული მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი მოდული, ან დანართში მოდულის განმახორციელებლად მიწერილია მასწავლებელი, რომელიც რეალურად არ ახორციელებს აღნიშნულ მოდულს. ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა განმარტება, რომ ხელშეკრულებაში ასახულია მიმდინარე პერიოდში განსახორციელებელი მოდულები. 2.2.1.2 სასურველია კოლეჯმა პროფესიული მასწავლებლის ხელშეკრულების დანართში ასახოს ყველა ის მოდული, რომელსაც თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს/განახორციელებს პროფესიული მაწავლებელი. მიუხედავად ტექნიკური უზუსტობებისა, განვმარტავთ, რომ პროგრამას ახორციელებს მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ დარგში თეორიული ცოდნა ან/და პრაქტიკული გამოცდილება.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. პროფესიული განათლების მასწავლებლებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციის შეფასების თვალსაზრისით გამოკითხვის შედეგებით საყურადღებო საკითხი არ გამოკვეთილა, ისევე როგორც მათი რაოდენობისა თუ დატვირთვის კუთხით. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ ცალსახად გამოხატეს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ მათ მხარდაჭერას სწავლების და დასაქმების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
4. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
5. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
8. ვებ გვერდი;
9. პროგრამის ბიუჯეტი;
10. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი“, რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია“. კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.

   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სკოლამდელი აღზრდა (ოზურგეთი)** | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი’’ დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

კოლეჯმა „ჰორიზონტმა" პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი, გენდერული და რეგიონული ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზმა კოლეჯს შესაძლებლობა მისცა გამოავლინოს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები და მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ასაბუთებს ასევე იმ გარემოებით, რომ სკოლამდელი აღზრდის პროფესიული პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღარ ხორციელდება. შედეგად, საბავშვო ბაღებში დასაქმებულ აღმზრდელთა უმეტესობა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის გარეშე მუშაობს. აღნიშნული კი ქმნის მოთხოვნას ახალი სტანდარტით მომზადებულ, კვალიფიციურ კადრებზე.

დოკუმენტიდან ასევე ვგებულობთ, რომ გურიის რეგიონში არ არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოამზადებს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს, ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო ამყარებს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სკოლამდელი აღზრდა" საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი აღზრდა" დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტთან.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სკოლამდელი აღზრდა“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

   - A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 აუდიტორია №34 აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 15 პროფესიულ სტუდენტზე, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები.
   - B სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია №30 - კომპიუტერული კლასი 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც.

   პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" „ინგლისური ენის" მოდულის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს №12 –ე აუდიტორიას (A გარემო), რომელიც განკუთვნილია მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლის მიზნით და აღჭურვილია შესაბამისი თვალსაჩინოებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 21 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 11 პროფესიული მოდულის, 8 ზოგადი და 2 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შევებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი

ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 6 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების  შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი’’ დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი“, რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის  მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია“. კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი" უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (06.03.2025წელი #2) ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის N6 ფილიალთან (ბაგა–ბაღთან) სააღმზრდელო ცენტრთან. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთ მიღებაზე არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს სასწავლო ექსკურსიის ორგანიზების მიზნით გამოყოს კვალიფიციური პირი, რომელიც გააცნობს სტუდენტებს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, მიაწოდებს ინფორმაციას პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობებისა და დასაქმებულის პროფესიული მოვალეობების თაობაზე. ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. <u>2.4.1.5 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში გასწორდეს ჩანაწერი სასწავლო ექსკურსიასთან დაკავშირებით და მკაფიოდ მიეთითოს პროფესიული სტუდენტების ობიექტზე გაგზავნის მიზნობრიობა</u>. აღინიშნული დაეხმარება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიღრმაოს პრაქტიკით და შესწავლილი მოდულების ფარგლებში ათვისებული უნარ–ჩვევები გამოსცადოს რეალურ სამუშაო გარემოში, კერძოდ პროფესიულ სტუდენტს საშუალება უნდა მიეცეს დამოუკიდებლად შეადგინოს ჯგუფის დღის წესრიგი, ბაგა–ბაღში მოქმედი კურიკულუმის გათვალისწინებით შეადგინოს მოკლევადიანი სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სააღმზრდელო ჯგუფში არსებულ სხვადასხვა ცენტრებში (წიგნიერების ცენტრი, სამაგიდო თამაშებისა და სენსორული აქტივობების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, მეცნიერების ცენტრი და სხვა) დაგეგმავს დღის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში, აქტივობების მიმდინარეობისას აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვება–შეფასებებს, მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა პორტფოლიოს შედგენაში, გაეცნობა აღმზრდელის პორტფოლიოს, რეფლექსურ და ინდივიდუალიზაციის ჩანაწერებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას
1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
„სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების

ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი", რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 102 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 132 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 104 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სასტუმრო მომსახურება (ოზურგეთი)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო

დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" ოზურგეთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სასტუმრო მომსახურება" საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის" დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით", რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი" - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება" თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება" განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 74 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 19 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 104 კრედიტს, ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა შეადგენს 102 კრედიტს, ხოლო არაქართულონოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 132სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი

ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულური ფორმით). მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია ძირითადად დაწესებულებაში, თავისივე მატერიალური რესურსებით, რომელთა ფლობა დასტურდება როგორც შესყიდვის აქტებით, ასევე დათვალიერების შედეგად. პროფესიული პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" წარმოადგენს კოოპერაციულ პროგრამას, რის გამოც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან, სადაც გატანილია - საწარმოო პრაქტიკის არჩევითი მოდული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,სასტუმრო მომსახურება" (მეოთხე დონე, ინტეგრირებული/არაინტეგრირებული) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ხუთი ოთახი: ერთი A, ერთი B გარემო (რომელიც საერთოა სხვა პროგრამებისთვისაც), 2 C გარემო (სასტუმროს ოთახის სიმულაცია, რესეფშენი და სამრეცხაო), რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასტუმროს მომსახურების დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგები 15 პროფესიული სტუდენტისთვის. სასტუმროს დახლი, სხვადასხვა დროითი სარტყელის საათები, სასტუმრო ოთახის სიმულაციური კუთხე, სადაც წარმოდგენილია საწოლები თავისი ტუმბოებით, სამუშაო მაგიდა სანათით, სკამი და სხვა შესაბამისი აქსესუარები. პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები" ლაბორატორია C გარემო. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. C გარემოში პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, კერძოდ დაცულია ქიმიკატების/ელ. ტექნიკის და დანადგარების მოხმარებისას უსაფრთხოების ნორმები, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. ასევე, მოცემულია A/C გარემო ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის, სადაც განთავსებულია მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება" რესურსი. აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა წინასწარ მოწოდებული მატერიალური რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები და ამასთანავე ადგილზე ვიზიტისას დათვალიერებული და ადგილზე გადამოწმებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე გადამოწმდა სასტუმრო პროგრამა „ფინა"-ს გამართული მუშაობა B გარემოში არსებულ სასწავლო კომპიუტერში.

30 პროფესიული სტუდენტის სწავლება დაგეგმილია 2 ცვლაში, შესაბამისად სამივე ტიპის გარემო გათვალისწინებულია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე. მითითებული სასწავლო გარემოები გადამოწმდა დათვალიერებისას.

პროგრამის გამტარუნარიანობას ზრდის ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება ოპერირებს ორ ცვლაში და შესაძლებლობა აქვს სასწავლო ჯგუფების მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების გამოყენება სხვადასხვა საათებში გადაანაწილოს.

ინტეგრირებული პროგრამისთვის კოლეჯში მოწყობილია „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების" მოდულისთვის განკუთვნილი შესაბამისი ლაბორატორია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება" განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით პროგრამაზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 32 განმახორციელებელი პირი. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დატვირთვა. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, **კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის** მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი“ და პარტნიორი კომპანიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები, 2025 წლის 14 თებერვლის თარიღით, პარტნიორი საწარმო ობიექტებია შპს ელეგანტი (სასტუმრო „სემი“) და შპს „ოზურგეთი პლაზა“. დოკუმენტის მიხედვით საწარმო ობიექტები გამოთქვამენ მზაობას, მიიღონ 30 პროფესიული სტუდენტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული სტუდენტებისთვის „საწარმოო პრაქტიკის“ – 125 საათის ოდენობით გაიარონ სასტუმრო „სემი“- ში და „ოზურგეთ პლაზა“-ში- თითო საწარმოში ერთ ჯგუფში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისა. მემორანდუმში მოცემული აღნიშნული ჩანაწერი ასევე დაადასტურა პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი“ მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
„სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის“ თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ **პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი ოზურგეთი, რუსთაველის N8 |
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" განხორციელების ფორმა კოოპერაციულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია არა მხოლოდ კოლეჯში არსებული რესურსით, არამედ პარტნიორი კომპანიის პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსითაც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ა(ა)იპ კოლეჯს "ჰორიზონტი" წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული 1 A, 1AC, 1B, 1C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა, ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი (სულ 30 სტუდენტი) დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში ან შეჭრილი გრაფიკითაც (საჭიროებისამებრ). საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა- 15, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტებს. ინტეგრირებული პროგრამისთვის კოლეჯში მოწყობილია „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების" მოდულისთვის განკუთვნილი შესაბამისი ლაბორატორია.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების

საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი“ და პარტნიორი კომპანიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას. კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტთან „აჭარა ტექსტილი“, რომელიც ოპერირებს 2 მისამართზე (ფოთი, ბობოყვათი). მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ გატანილია პრაქტიკის ობიექტზე. კომპანიის წარმომადგენელთან სატელეფონო გასაუბრებისას დადასტურდა მათი მზაობა პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ასევე ახალი საწარმო იხსნება ლანჩხუთში, რომელთანაც კოლეჯი გეგმავს თანამშრომლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი“ მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის“ თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“ აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია),



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

    **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

    **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249;   11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა **სკოლამდელი აღზრდა (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი’’ დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ლანჩხუთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

კოლეჯმა „ჰორიზონტმა“ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი, გენდერული და რეგიონული ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზმა კოლეჯს შესაძლებლობა მისცა გამოავლინოს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები და მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ასაბუთებს ასევე იმ გარემოებით, რომ სკოლამდელი აღზრდის პროფესიული პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღარ ხორციელდება. შედეგად, საბავშვო ბაღებში დასაქმებულ აღმზრდელთა უმეტესობა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის გარეშე მუშაობს. აღნიშნული კი ქმნის მოთხოვნას ახალი სტანდარტით მომზადებულ, კვალიფიციურ კადრებზე.

დოკუმენტიდან ასევე ვგებულობთ, რომ გურიის რეგიონში არ არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოამზადებს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს, ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო ამყარებს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სკოლამდელი აღზრდა“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტთან.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სკოლამდელი აღზრდა“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი 1 აუდიტორია №14 აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 15 პროფესიულ სტუდენტზე, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები.
- B სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია №18 - კომპიუტერული კლასი 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც.

პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" მოდულის „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს C გარემოს №12 –ე აუდიტორიას, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა მოდულის ფარგლებში შესასწავლი პირველადი გადაუდებელი დახმარების ელემენტების შესწავლა შეძლონ სპეციალური მულაჟების საშუალებით და მათი გამოყენებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 21 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 11 პროფესიული მოდულის, 8 ზოგადი და 2 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 6 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი’’ დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი“, რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, **კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის** მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია“. კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო

სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა" ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება" და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება". პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრთან (2025 წელი # 17) და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის სოფელ აცანის ბაგა–ბაღთან (06.03.2025წ. #3). ხელშეკრულება მიზნად ისახავს ერთ მიღებაზე არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს სასწავლო ექსკურსიის ორგანიზების მიზნით გამოყოს კვალიფიციური პირი, რომელიც გააცნობს სტუდენტებს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, მიაწოდებს ინფორმაციას პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობებისა და დასაქმებულის პროფესიული მოვალეობების თაობაზე. ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. <u>2.2.1.1.დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში გასწორდეს ჩანაწერი სასწავლო ექსკურსიასთან დაკავშირებით და მკაფიოდ მიეთითოს პროფესიული სტუდენტების ობიექტზე გაგზავნის მიზნობრიობა</u>. აღნიშნული დაეხმარება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიღრმაოს პრაქტიკით და შესწავლილი მოდულების ფარგლებში ათვისებული უნარ–ჩვევები გამოსცადოს რეალურ სამუშაო გარემოში, კერძოდ პროფესიულ სტუდენტს საშუალება უნდა მიეცეს დამოუკიდებლად შეადგინოს ჯგუფის დღის წესრიგი, ბაგა–ბაღში მოქმედი კურიკულუმის გათვალისწინებით შეადგინოს მოკლევადიანი სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სააღმზრდელო ჯგუფში არსებულ სხვადასხვა ცენტრებში (წიგნიერების ცენტრი, სამაგიდო თამაშებისა და სენსორული აქტივობების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, მეცნიერების ცენტრი და სხვა) დაგეგმავს დღის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში, აქტივობების მიმდინარეობისას აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვება–შეფასებებს, მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა პორტფოლიოს შედგენაში, გაეცნობა აღმზრდელის პორტფოლიოს, რეფლექსურ და ინდივიდუალიზაციის ჩანაწერებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი“ მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის“ თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი", რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249;   11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 102 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 132 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 104 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სასტუმრო მომსახურება (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.
დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ლანჩხუთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სასტუმრო მომსახურება“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის” მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სასტუმრო მომსახურება“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 74 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 19 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 104 კრედიტს, ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა შეადგენს 102 კრედიტს, ხოლო არაქართულონოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 132სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზუალური დათვალიერების, ასევე შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სასტუმრო მომსახურება“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულური ფორმით). მოდულებში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია ძირითადად დაწესებულებაში, თავისივე მატერიალური რესურსებით, რომელთა ფლობა დასტურდება როგორც შესყიდვის აქტებით, ასევე დათვალიერების შედეგად. პროფესიული პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ წარმოადგენს კოოპერაციულ პროგრამას, რის გამოც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ პრაქტიკის ობიექტთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,სასტუმრო მომსახურება“ (მეოთხე დონე, ინტეგრირებული / არაინტეგრირებული, საშუალო) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია ხუთი ოთახი: ერთი A გარემო, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სასტუმროს პროგრამისთვის, ერთი B გარემო (რომელიც საერთოა სხვა პროგრამებისთვისაც), 3 C გარემო (სასტუმროს ოთახის სიმულაცია სრული აღჭურვილობით, რესეფშენი და სამრეცხაო), რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასტუმროს მომსახურების დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგები 15 პროფესიული სტუდენტისთვის. სასტუმროს დახლი, სხვადასხვა დროითი სარტყელის საათები; სტანდარტულზე მაღალი კატეგორიის სასტუმრო ოთახის სიმულაციური კუთხე, სადაც წარმოდგენილია საწოლები თავისი ტუმბოებით, სამუშაო მაგიდა სანათით, სკამი, ტელევიზორი, დივანი და სავარძელი ყავის მაგიდით, სველი წერტილი თავისი სააბაზანო აქსესუარებით. პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულის ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორია C გარემო. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. C გარემოში პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის გათვალისწინებულია მისი სპეციფიკა, კერძოდ დაცულია ქიმიკატების/ელ. ტექნიკის და დანადგარების მოხმარებისას უსაფრთხოების ნორმები, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი. ასევე, მოცემულია A/C გარემო ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის, სადაც განთავსებულია მოდულის ,,პირველადი გადაუდებელი დახმარება“ რესურსი. აღჭურვილობა გათვლილია ჯგუფში ერთდროულად 15 პროფესიულ სტუდენტზე. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა წინასწარ მოწოდებული მატერიალური რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები და ამასთანავე ადგილზე ვიზიტისას დათვალიერებული და ადგილზე გადამოწმებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობა. გადამოწმდა სასტუმრო პროგრამა „ფინა“-ს გამართული მუშაობა B გარემოში არსებულ სასწავლო კომპიუტერში.

30 პროფესიული სტუდენტის სწავლება დაგეგმილია 2 ცვლაში, შესაბამისად სამივე ტიპის გარემო გათვალისწინებულია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე. მითითებული სასწავლო გარემოები გადამოწმდა დათვალიერებისას.

პროგრამის გამტარუნარიანობას ზრდის ის ფაქტორიც, რომ დაწესებულება ოპერირებს ორ ცვლაში და შესაძლებლობა აქვს სასწავლო ჯგუფების მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების გამოყენება სხვადასხვა საათებში გადაანაწილოს .ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამისთვის - „სასტუმრო მომსახურება“- განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი საათობრივი დატვირთვა. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით პროგრამაზე განსაზღვრულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 6 პროფესიული, 6 ზოგადი მოდულის და 11 ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და კვირეული საათობრივი დატვირთვა.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება" განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შესაბამება
☐ მეტწილად შესაბამება
☐ ნაწილობრივ შესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი“ და პარტნიორი კომპანიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი. პარტნიორი საწარმო ობიექტია შპს ვილა რეტა, ვისთანაც გაფორმებულია მემორანდუმი - 2025 წლის 21 თებერვლის თარიღით, რომლის მიხედვით საწარმო ობიექტი გამოთქვამს მზაობას, მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურების“ 4 -დონე პროფესიული სტუდენტებისთვის პროფესიული მოდულის „სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა (2,3,4,5 შედეგები), სულ 75 საათი და მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ – 125 საათის ოდენობით, ერთ ჯგუფში არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისა. მემორანდუმში მოცემული აღნიშნული ჩანაწერი ასევე დაადასტურა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა გასაუბრებისას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი", რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მოდის ტექნოლოგია და დიზაინი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგია და დიზაინში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249; 11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 28 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)* | 28 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, ჟორდანიას ქ. N 76 მიმდებარე ტერიტორია)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.
დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" ლანჩხუთის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის" დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის" მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ მოიცავს არჩევით მოდულს “ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება“, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და უშუალო კავშირშია კვალიფიკაციასთან.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს (სწავლის ხანგრძლივობა – 19 სასწავლო თვე), ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 120 კრედიტს. ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, ხოლო არაქართულონოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 150 კრედიტს. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" განხორციელების ფორმა კოოპერაციულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია არა მხოლოდ კოლეჯში არსებული რესურსით, არამედ პარტნიორი კომპანიის პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსითაც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ა(ა)იპ კოლეჯს "ჰორიზონტი" წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული 1 A, 1AC, 1B, 1C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა, ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი (სულ 30 სტუდენტი) დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში ან შერეული გრაფიკითაც (საჭიროებისამებრ). საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას უზრუნველყოფს 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ჯგუფების რაოდენობისა და პროგრამის სასწავლო გეგმის (სადაც საერთო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს) გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი“ ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 5 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხორციელდება კოოპერაციული სწავლების ფორმით, შესაბამისად წარმოდგენილია კოლეჯს „ჰორიზონტი“ და პარტნიორი კომპანიას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ერთდროულად არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას. კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტთან „აჭარა ტექსტილი“, რომელიც ოპერირებს 2 მისამართზე (ფოთი, ბობოყვათი). მოდული „საწარმოო პრაქტიკა“ გატანილია პრაქტიკის ობიექტზე. კომპანიის წარმომადგენელთან სატელეფონო გასაუბრებისას დადასტურდა მათი მზაობა პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ასევე ახალი საწარმო იხსნება ლანჩხუთში, რომელთანაც კოლეჯი გეგმავს თანამშრომლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.
„სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი" დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი", რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249;   11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სკოლამდელი აღზრდა**<br>**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესით". აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, ჯგუფის შემადგენლობაში შედიან: სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. სამუშაო ჯგუფს ევალება შეაგროვოს და დაამუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია, დაამუშაოს და განახორციელოს პროგრამის/მოდულების ადაპტაცია, შეადგინოს სასწავლო გეგმა, დაადგინოს საჭირო მატერიალური რესურსი და შეიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი. ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ჩოხატაურის მისამართზე განხორციელების შესახებ ეფუძნება პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებას. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებებს. პროგრამის განხორციელება არ ეწინააღმდეგება კოლეჯის მისიას.

კოლეჯმა „ჰორიზონტმა“ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი, გენდერული და რეგიონული ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზმა კოლეჯს შესაძლებლობა მისცა გამოავლინოს შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციები და მოთხოვნები, რაც თავის მხრივ, საფუძვლად დაედო აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას.

დაწესებულება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას ასაბუთებს ასევე იმ გარემოებით, რომ სკოლამდელი აღზრდის პროფესიული პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღარ ხორციელდება. შედეგად, საბავშვო ბაღებში დასაქმებულ აღმზრდელთა უმეტესობა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის გარეშე მუშაობს. აღნიშნული კი ქმნის მოთხოვნას ახალი სტანდარტით მომზადებულ, კვალიფიციურ კადრებზე.

დოკუმენტიდან ასევე ვგებულობთ, რომ გურიის რეგიონში არ არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მოამზადებს სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტებს, ეს უკანასკნელი კი კიდევ უფრო ამყარებს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „სკოლამდელი აღზრდა“ საფუძველზე, რითაც განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრული წინაპირობა შესაბამისობაშია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 მაისის N550722 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელშიც გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტთან.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტის“ დირექტორის 2022 წლის 07 ნოემბრის №04-15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, კვოტის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს: სასწავლო გარემოს ოდენობას, ფართი და მატერიალურ რესურსს, ადამიანურ რესურსს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიდგომას, მათ შორის, პარტნიორი კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობას, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვარს და სხვა ისეთ დამატებით ფაქტორებს, როგორიცაა: სხვადასხვა ცვლაში სწავლების შესაძლებლობა, პროგრამის მოთხოვნადობა შრომის ბაზარსა და აპლიკანტთა მხრიდან. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2025 წლის 6 მარტის N246407 ბრძანებით დაწესებულებამ წარმოადგინა სამივე მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დოკუმენტი.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ დანართის სახით დამტკიცებული მატერიალური რესურსი და მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი შესაბამისობაშია სტანდარტის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, დაწესებულების მიერ განსაზღვრული რესურსები იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ წესდებისა და ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესით“ , რომელიც დამტკიცებულია ,,ა(ა)იპ კოლეჯ ,,ჰორიზონტი“ - ს დირექტორის 2021 წლის 09 ივნისის №04-89 ბრძანებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

7. კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება „სკოლამდელი აღზრდა“ თანხვედრაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. შესაბამისად, კავშირშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ამგვარად არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

8. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის 2025 წლის 11 მარტის N265249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „სკოლამდელი აღზრდა“ განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ფორმა, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობები, პროგრამის მოცულობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისთვის. პროგრამას თან ახლავს მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მათი მოდულები ადაპტირებულია. სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტების შეფასებით, პროგრამა შეესაბამება მის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის მისია;
2. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების განვითარებისა და გაუქმების წესი;
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია
6. მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
8. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

8. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
9. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
10. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
11. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
12. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
13. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
14. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა " განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

   - A სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი №3 აუდიტორია. აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი 15 პროფესიულ სტუდენტზე, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები.
   - B სასწავლო გარემო - 1 აუდიტორია №14 - კომპიუტერული კლასი 15 პროფესიულ სტუდენტზე, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერით, მაგიდებითა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 13 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 6 პროფესიული მოდულის, 6 ზოგადი და 1 ქართული ენის მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კვალიფიკაცია, პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულებისათვის. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, შესაბამისად პირად საქმეში განთავსებულია დიპლომები ან/და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები - ცნობები. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. ა(ა)იპ კოლეჯს „ჰორიზონტი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, გათავისებული აქვს მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ლექციებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის ან ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

5. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბეჭდური ან/და ელექტრონული სახით. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივეა მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მათ შორის, სასწავლო რესურსის ადაპტირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით საგანმანათლებლო რესურსის შინაარსობრივ ცვლილებას და მის მორგებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე, რაც გულისხმობს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის შესაძლებლობას და სხვა. ასევე დარეგულირებულია ისგს- შემუშავების საკითხი.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

9. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი" ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა" განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 6 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლების ნაწილი მოიცავს: ვაუჩერულ დაფინანსებისა და პროგრამულ დაფინანსების საფასურს, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: 1. მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება; 2. მასალა ნედლეულის ხარჯი; 3. საბიბლიოთეკო ფონდის შევსება; 4. საკანცელარიო/საოფისე ხარჯი; 5. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; 6. დიპლომების/დანართების ხარჯი; 7. ძირითადი საშუალებების ცვეთა; 8. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი 9. სხვა ხარჯი.
   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი;
3. მემორანდუმი პარტნიორ კომპანიასთან;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
5. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
6. განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირების წესი;
8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

9. ვებ გვერდი;
10. პროგრამის ბიუჯეტი;
11. გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1-2. ა(ა)იპ კოლეჯის ,, ჰორიზონტი'' დირექტორის 2021 წლის 9 ივნისის N04-89 ბრძანებით (ცვლილება - ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი" დირექტორის 2023 წლის 12 ივლისის 04-131 ბრძანება) დამტკიცებულია „ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის, შეფასების, განვითარების და გაუქმების წესი", რომლის მიზანი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება-განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი და ეფექტური განხორციელების ხელშეწყობაა და ეყრდნობა დემინგის ციკლს. აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოიცავს შემდეგ პროცესებს: პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება; სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა; მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება; მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, მასალა-ნედლეულის საკმარისობის, ავთენტურობის შეფასება; ვერიფიკაცია". კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების შეფასების მტკიცებულებები და ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები პროგრამაში ცვლილებების თაობაზე.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ 2025 წლის 10 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების პროცედურებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, აპელაციის, კვალიფიკაციის მინიჭების, ინდივიდუალური გეგმის, სწავლების დამატებითი პერიოდის, სასწავლო პროცესში სსსმ პირების ჩართვის, საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მექანიზმებს, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. კოლეჯს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქციათა შორისაა სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე რეაგირების გზების დასახვა. დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია, მათ შორის საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯი „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას პროფესიული განათლების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. სიმულაციური სწავლება და იმიტირებული სამუშაო გარემო აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სასწავლო მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად, რაც ზრდის სტუდენტების დამოუკიდებლად მუშაობის შესაძლებლობას.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. 2025 წლის 11 მარტის N261281 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,ჰორიზონტი’’ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს პროფესიული სტუდენტის მობილობა ან პროფესიული სტუდენტის სტატუსი აღდგენა. სტუდენტთა უფლებებში გაწერილია, რომ სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში სწავლა დაასრულოს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრთან (06.03.2025წ. #18) და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებასთან ა(ა)იპ „მომავალი“ (06.03.2025წ #1). მემორანდუმი მიზნად ისახავს ერთ მიღებაზე არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად სასწავლო ექსკურსიით უზრუნველყოფას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს სასწავლო ექსკურსიის ორგანიზების მიზნით გამოყოს კვალიფიციური პირი, რომელიც გააცნობს სტუდენტებს სამუშაო გარემოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, მიაწოდებს ინფორმაციას პროფესიის, დასაქმების შესაძლებლობებისა და დასაქმებულის პროფესიული მოვალეობების თაობაზე. ხელშეკრულება ძალაშია 7 წლის ვადით. <u>2.4.1.5 დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში გასწორდეს ჩანაწერი სასწავლო ექსკურსიასთან დაკავშირებით და მკაფიოდ მიეთითოს პროფესიული სტუდენტების ობიექტზე გაგზავნის მიზნობრიობა</u>. აღნიშნული დაეხმარება კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მიღებული თეორიული ცოდნა გაიღრმაოს პრაქტიკით და შესწავლილი მოდულების ფარგლებში ათვისებული უნარ–ჩვევები გამოსცადოს რეალურ სამუშაო გარემოში, კერძოდ პროფესიულ სტუდენტს საშუალება უნდა მიეცეს დამოუკიდებლად შეადგინოს ჯგუფის დღის წესრიგი, ბაგა–ბაღში მოქმედი კურიკულუმის გათვალისწინებით შეადგინოს მოკლევადიანი სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სააღმზრდელო ჯგუფში არსებულ სხვადასხვა ცენტრებში (წიგნიერების ცენტრი, სამაგიდო თამაშებისა და სენსორული აქტივობების ცენტრი, ხელოვნების ცენტრი, მეცნიერების ცენტრი და სხვა) დაგეგმავს დღის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, სასწავლო–სააღმზრდელო პროცესში, აქტივობების მიმდინარეობისას აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვება–შეფასებებს, მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა პორტფოლიოს შედგენაში, გაეცნობა აღმზრდელის პორტფოლიოს, რეფლექსურ და ინდივიდუალიზაციის ჩანაწერებს.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

6. სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას. ზოგადი უსაფრთხოების საკითხები კოლეჯისთვის აღწერილია მე-5 სტანდარტის ფარგლებში.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. გასაუბრების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში „ჰორიზონტი" მოქმედებს „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია", რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს და განმარტავს შეფასების სისტემის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს - ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. სასწავლო პროცესის მენეჯერი/სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის მენეჯერი, სამუშაო აღწერილობის შესაბამისად, ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას და უზრუნველყოფს პროცესში დარგის სპეციალისტის ჩართულობას. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას, შეფასების თარიღს აცნობებს შეფასებამდე სულ მცირე 3 სამუშაო დღით ადრე და განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის თაობაზე.

   „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესის" თანახმად, სასწავლო პროცესის მენეჯერი /სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი ვალდებულია გორაბერეჟოულის და ლანჩხუთის სასწავლო ფართზე მოდულის დასრულებიდან/გადაბარების პერიოდის გასვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს დირექტორის მოადგილეს მოდულის დასრულებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები. წესში აღწერილია სწავლის შედეგ/ებ/ის დაუდასტურებლობის ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიერ დამატებითი შეფასებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტი ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების წესსა და პირობებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა ზოგიერთი მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი. გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ იცნობენ შეფასების სისტემას და აქვთ ინფორმაცია დამატებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ.

   **ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

2. ა(ა)იპ კოლეჯში „ჰორიზონტი" შემუშავებული დოკუმენტი „ვერიფიკაციის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტის შეფასების ინსტრუქცია" აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, მიმართულებებს (ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია), განხორციელების ვადებს, შერჩევის მექანიზმებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, აღწერს ვერიფიკაციის პროცედურას. დოკუმენტში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების (ტექნიკური და შინაარსობრივი) ფორმა. ვიზიტის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის ვერიფიკაციის დასკვნა, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს (შეფასების ინსტრუმენტის დახვეწის თაობაზე).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

3. კოლეჯის „ჰორიზონტი“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-18 მუხლით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება და მითითებულია, რომ **პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წელი.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისები დირექტორის მოადგილის სამსახურის ბართის საფუძველზე, შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტით ჩაბარდება კოლეჯის არქივს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაცემულია რეკომენდაცია შეფასების მტკიცებულებების დაცულ მდგომარეობაში შენახვასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის დამატებითი შეფასებისთვის მოსამზადებლად.

**ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, ცვლილების შეტანის შეფასების განვითარების და გაუქმების წესი;
2. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ხარისხის მართვის მენეჯერის რეკომენდაციები;
4. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატყეო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0821 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | N265249;   11.03.2025 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამა<br>**სატყეო საქმე (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული )** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

